სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/23 15-03- 2021 წ

უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის (№ 01-04-17) და 2021 წლის 4 მარტის (№ 01-04-20) ბრძანებების - „ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საგაზაფხულო სემესტრში, 2021 წლის 1 მარტიდან, სასწავლო პროცესის განხორციელების"- გაუქმების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის № 159323 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ"

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაუქმდეს უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 26 თებერვლის (№ 01-04-17) და 2021 წლის 4 მარტის (№ 01-04-20) ბრძანებები - „ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საგაზაფხულო სემესტრში, 2021 წლის 1 მარტიდან, სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ";
2. **2020-2021** სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი განხორციელდეს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (№ 01-04/22 12. 03. 2021) დამტკიცებული სასწავლო გრაფიკის მიხედვით.
3. 2021 წლის 15 მარტიდან უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი წარიმართოს შერეული სახით სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.
4. 2021 წლის 15 მარტიდან საგანმანათლებლო პროგრამის ლექციის კომპონენტები, წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში, ონ-ლაინ პლატფორმაზე (Microsoft teams).
5. **შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს არადისტანციურ რეჟიმში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,**

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე, იმ დროისათვის მოქმედი , შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.

6. მედიცინის ფაკულტეტის დეკანატს მიეცეს უფლება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს გაითვალისწინოს ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლების სპეციფიკა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.
7. დისტანციურ რეჟიმში ჩატარებული სასწავლო პროცესის მონიტორინგი უზრუნველყოს ფაკულტეტის ადმინისტრაციამ და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, სასწავლო მეთოდური განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა დ. თოფურიამ.
8. ფაკულტეტის დეკანებს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას დაევალოს:

8.1. ბრძანება დაიყვანონ თითოეულ სტუდენტამდე და აკადემიურ პერსონალამდე.

8.2. ლექცია - პრაქტიკულების ჩატარება განახორციელონ, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის (ასოც. პროფ. შ. კირთაძის) ხელმოწერით დამტკიცებული, სასწავლო ცხრილების დაცვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ინდივიდუალური დროებითი ცხრილების ფორმირება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით;

8.3. 2021 წლის 15 მარტიდან საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული/ სემინარული/ ლაბორატორიული/კლინიკური/საგამოცდო სწავლების კომპონენტები წარმართონ არადისტანციურ რეჟიმში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.

8.4. იმ სასწავლო ჯგუფებში, რომელშიც ირიცხება არაუმეტეს 12 სტუდენტისა, პრაქტიკული მეცადინეობები 2021 წლის 15 მარტიდან წარმართონ, არა დისტაციურ რეჟიმში, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ონ-ლაინ პლატფორმაზე (Microsoft teams), პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინებით;

9. დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა იხელმძღვანელოს ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის(ENQA) მიერ 2018 წელს შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით.

10. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 15 მარტიდან.

11. უნივერსიტეტის კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა ფაკულტეტების დეკანებთან, სტუდენტური მხარდაჭერისა და

განვითარების სერვისებთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და განთავსება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.

12. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

საფუძველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის №153323 ბრძანება.

რექტორი	პროფ. როლანდ კოპალიანი
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	პროფ. იმერ ბასილაძე